პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 230 (13922) | შაბათი, 30 სექტემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

პარტიის დიდი ზრუნვა ფთაგვაგონებს

ხალხმრავალი კრებები გაიმართა თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის საამქროებში. კრებების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მასალები და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების“ შესახებ.

— 1968 წლის პირველი ნახევრიდან, — თქვა ხარატმა ა. ომარაშვილმა, ჩემი სატარიფო განაკვეთი საშუალოდ 15 პროცენტით გადიდდება. გამიდიდდება შვებულებაც. პარტიისა და მთავრობის ასეთი ზრუნვის პასუხად უკეთ ვიმუშავებ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებმა, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, ქარხნის მთელი კოლექტივის დიდი შრომითი აღმავლობა და აღფრთოვანება გამოიწვია.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ყველა საამქროში გაიმართა კრებები, რომლებზეც ქართველმა ელმავალმშენებლებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომლებიც მუდამ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ზრდის განუხრელი აღმავლობისათვის.

— დიდად აღგვაფრთოვანა სახისახარულო ცნობამ, რომ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი შეიუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, — თქვა მტვიფრავმა ო. ჯაფარიძემ. — ეს ღონისძიებანი იმის ახალი მკაფიო დადასტურებაა, რომ თანამედროვულად ხორციელდება პარტიის პროგრამის კეთილშობილური ლოზუნგი: „ყველაფერი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის“.

კრებებზე გამოსული ორატორები ერთსულოვნად შეესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ჩვენი სახელმწიფოს მომავალი იუბილეს აღსანიშნავად და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1967 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ქარხნის მუშებმა იკისრეს დამატებითი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

(საქდესი).

მძლავრი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ საქართველოს მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. თავდადებით იბრძვიან ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის რესპუბლიკის ერთ-ერთ დიდ — ენგურჰესის მშენებლობაზე. მოწინავე მშენებელთა შორის არიან ძმები ზურაბ და ვახტანგ ზარნაძეები. ბრიგადა, რომელსაც უფროსი ძმა ზურაბი ხელმძღვანელობს, 140-150 პროცენტით ასრულებს დავალებებს.

სურათზე: მშენებელი ძმები ზურაბ (მარცხნივ) და ვახტანგ ზარნაძეები.

ფოტო პ. ლუცენკოსი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გულითადი მადლობა

დუშეთი. (საკ. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 სექტემბრის დადგენილებამ რაიონის მშრომელთა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია.

საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე, ქარხნის კოლექტივის სახელით, დირექტორმა დ. ლაპიაშვილმა პირობა დადო, რომ წელს გეგმის ზევით გამოუშვან 100 ათასი პირობითი ქილა კონსერვი. ამავე ქარხნის მუშამ ზ. ადდგომელაშვილმა განაცხადა, რომ პარტიის და მთავრობის ზრუნვის სანაცვლოდ ყოველდღიურად საწარმოო დავალებას 125-130 პროცენტით გაანაღდებს.

უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ დუშეთის ხალიჩების საქსოვი საამქროს მუშები დადგენილებას „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, მოწინავე მქსოველმა ნ. ვარქელემ ვალდებულება იკისრა ყოველდღიურად გეგმით გათვალისწინებული 6.200 კვანძის ნაცვლად ამოიყვანოს 7 ათასი კვანძი. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მქსოველებმა ე. ველთაურმა, ქ. პირმისაშვილმა.

ხალხი ერთსულოვნად მეესალმება ახალ სასახარულო ცნობას.

ახალი სიკეთე, ახალი ენერგია

ჩვენ, წყალტუბოს რაიონის სოფელ რიონის კოლმეურნეობის წევრები, სიხარულით გავეცანით პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს. ახალი დადგენილების მიხედვით მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლებისათვის დაწესებული ასაკი ხუთი წლით მცირდება და მომავალი წლიდან პენსიას მეტს მივიღებთ. **ექვსი შვილის დედამ წელს გეგმით გათვალისწინებული 1.800 კილოგრამის ნაცვლად 3.860 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფე. პენსიის მიღება ახალ ძალებს შეგვმატებს. ასობით კილოგრამ ჩაის კიდევ მოვკრეფ. გადავწყვიტე მომავალ სეზონში სულ მცირე ოთხი ტონა ჩაის ფოთოლი მოვკრიფო.**

მადლობა პარტიას კოლმეურნეობაზე მზრუნველობისათვის.

ზურა ტურაბელიძე.

წყალტუბოს რაიონის სოფელ რიონის კოლმეურნეობის მეჩაიე.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

29 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.

მოხსენება „საქართველოს სს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობისა და საშენ მასალათა წარმოების მდგომარეობა და გაუმჯობესების ღონისძიებანი“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **შ. კობახიძე,** აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **პ. გილაშვილი,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **მ. ვაშაკიძე,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **ლ. უკლება,** საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი **ს. ლორთქიფანიძე,** სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **კ. ჯიოევი,** საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი **გ. ქობულია,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ო. თუხარელი,** საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი **შ. თათარაშვილი,** „თბილისმშენის“ მშენებელთა ბრიგადირი **ვ. ჭელიძე,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **კ. ზავრიევი,** ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **მ. გვიშიანი.**

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

განხილულ საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილებანი.

ამით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. (საქდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ჟინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს ჟინემატოგრაფისტთა კავშირს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მუშაკებს სახელოვან იუბილეს — ქართული კინოს 50 წლისთავს.

თავისი ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ქართულმა კინოხელოვნებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მშრომელთა იდეურ აღზრდაში, კინომოღვაწენი თავიანთი შემოქმედებით ერთგულად ემსახურებოდნენ და ემსახურებიან პარტიასა და ხალხს. ქართული კინემატოგრაფიის საუკეთესო ნაწარმოებებში, რომლებმაც ფართო აღიარება მოიპოვეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სიმართლით ასახულია ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი გმირული გზა, შექმნილია ახალი სამყაროს მშენებელთა მაღალმხატვრული სახეები.

საქართველოს კინომუშაკთა ღირსშესანიშნავი იუბილე აღინიშნება რესპუბლიკის მშრომელთა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომლებიც მთელ საბჭოთა ხალხთან და პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულისათვის.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის დიდი აღმავლობის, მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის არნახული ზრდის, მათი შემოქმედებისა და ინიციატივის გაშლის პერიოდში ქართული კინემატოგრაფიის მუშაკთა წინაშე დგება ახალი პასუხსაგები ამოცანები. რესპუბლიკის კინომოღვაწეთა საპატიო მოვალეობაა მხატვრულ ნაწარმოებებში აღბეჭდონ ეს ღირსშესანიშნავი პროცესები, ის ახალი, რაც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის კინოხელოვნების მუშაკები პირნათლად მოისდიან თავიანთ ვალს, შექმნიან ჩვენი შესანიშნავი ეპოქის ღირსეულ ნაწარმოებებს, ღრმად და შთაგონებით ასახავენ შესანიშნავი მომავლის — კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ზრომითი ნობათები

მარნეულის რაიონის სოფლის მშრომელებმა კარგად იმუშავეს საიუბილეო წელს. საქართველოს კპ მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა **შ. ნემხაძემ,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. ყულიევმა** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ტ. ყარაევმა** გეშინდ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს:

გარდაბნის რაიონის მშრომელებმა, გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად, სიტყვა საქმედ აქციეს. 1 ოქტომბრისათვის წლიური გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 6.720 ტონა ბოსტნეული. ეს დავალება ვადაზე 25 დღით ადრე გაანაღდეს.

რაიონის მებოსტნეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 800 ტონა ბოსტნეული. ეს ვალდებულებაც სანახევლოდ შეასრულეს. სახელმწიფოს მიეყიდა 870 ტონა ბოსტნეული. სულ 7.590 ტონა ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 6.720 ტონისა.

სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვა კვლავ გრძელდება. გუშინდელი დღის ჩათვლით ვალდებულების გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა 100 ტონა ბოსტნეული.

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. მაღალაშვილმა,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ბ. კოტრკოვაძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ბ. მაისაშვილმა** „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ საიუბილეო წელს რაიონის მშრომელებმა ახალი წარმატებები მოიპოვეს. ვალდებულებით სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, კულრკოვანი ხილისა და კარტოფილის მიყიდვის წლიური გეგმა უნდა შეესრულებინათ 1 ოქტომბრისათვის. ფაქტიურად სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 5.264 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.920 ცენტნერისა, 19.575 ცენტნერი რძე ნაცვლად 19.190 ცენტნერისა, 2.966 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 2.965 ათასი ცალისა, 36,1 ცენტნერი მატყლი ნაცვლად 30 ცენტნერისა, 3.820 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად 3.800 ცენტნერისა.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

პოეზიის ზეიმი

✦

ირაკლი აბაშიძე,

პოეტი-აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

✦

ამ ეპირიდან პოეზიის დღეს „რუსთაველის დღეს“ ვუწოდებთ.

ეს გადაწყვეტილება ქართველმა მწერლებმა ჯერ კიდევ შარშან მივიღეთ შემოდგომაზე, შოთა რუსთაველის რვაასი წლის იუბილეს დაუვიწყარ დღეებში.

ჩვენს დღესასწაულს, **პოეზიის დღეს,** პოეტები თითქმის სისტემატურად ალინიშნავთ ხოლმე, ყოველ წელიწადს. მაგრამ დღეიდან მას არა მარტო რუსთაველის სახელი ერქმევა, არამედ ისაც შევეცდებით, რომ იგი დიდ საზოგადოებრივ მოვლენად ვაქციოთ. შევეცდებით მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო აღნიშნავდეს მას როგორც თავის საერთო-სახალხო დღესასწაულს.

— ვაქციოთ „რუსთაველის დღე“ საერთო-სახალხო დღესასწაულად საქართველოში!

ეი ამ კეთილშობილურ მიზანს ისახავს ჩვენი დღევანდელი პოეზიის დღე.

ტრადიცია უკვე არის: შოთა რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავის ზეიმი შარშან საქართველოში.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არც ერთი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანის იუბილეს არ შეუღია ისეთი საერთაშორისო მასშტაბი, ხასიათი და გამოძახილი, როგორც გასულ წელს შოთა რუსთაველის იუბილემ მიიღო. ნამდვილად მთელმა მსოფლიომ აღნიშნა ჩვენი დიდი წინაპრის დაბადების რვაასი წლისთავი.

და ჩვენ ეს ტრადიცია საბოლოოდ უნდა დავამკვიდროთ საქართველოში. შოთა რუსთაველის დაბადების დღე ქართველი ხალხის ჭეშმარიტი დღესასწაულია.

„რუსთაველის დღე“ მთელი ქართული პოეზიის დიდი დაფასება იქნება, და ქართული პოეზიაც არის ამის ღირსი. ეს ის პოეზია, რომელმაც საუკუნეობრივი გაძძლეობა მისცა მთელი ქართველი ერის სულს, თითქოს მართლაც ფოლადად აქცია იგი, მთელი მშობელი ხალხის სული.

ქართული პოეზია მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ეროვნული სიდიადეა. იგი უძღოდა წინ ყოველ დროს მთელ ქართულ კულტურას მის სახელოვან წარმატებებში.

და რა საამაყოა, რომ ეს დიდებული ტრადიცია დღემდე არ შეწყვეტილა, რომ იგი, ჩვენი პოეზია, ამ საპატიო როლს დღესაც სანახელოდ ასრულებს.

წელს ქართული პოეზიის დღეს, „რუსთაველის დღეს“, ჩვენ ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავზე აღვნიშნავთ.

ბუნებრივია, გვებადება სურვილი, გადავხედოთ განვლილი ხუთი ათეული წლის ჩვენს პოეტურ სამყაროს, გადავხედოთ ამ უაღრესად რთული და მოულოდნელებით სავსე წლების პოეზიას.

ამ რეტროსპექტიულ წიაღსვლას ჩვენი სპეციალისტები უკეთ მოახდენენ; ჩვენ კი, პოეტებს, გვაამაყებს იმისი შეგნება და განცხადება, რომ მით უმეტეს ამ ათეულ წლებში ქართული პოეზია ნამდვილად იყო ჩვენი ხალხის, ჩვენი ადამიანების მაღალი სულიერი თანამგზავრი, ერთგული მეგობარი, გონიერი თანაშემწე.

ისიც უნდა ითქვას, რომ თუ დღეს, ბოლოს და ბოლოს, მთელმა ქართულმა კულტურამ, დიდი უღელტეხილების გადალახვისა და ვიწროების გავლის შემდეგ, საქვეყნო აღიარებას მიაღწია, აქ პირველი სიტყვა ყოველთვის ქართულ პოეზიას ჰქონდა, ის იყო კვლავ მეწინავე მედროშე, იგი უძღოდა წინ ამ დიდი გამარჯვებას საშვილიშვილო საქმეს.

პირველად ქართული კულტურა დიდ, მთელი საბჭოთის დიდ გზაზე ოცდაათიან წლებში გავიდა. მთელი ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველად ამ წლებში გადალახა. ჩვენმა კულტურამ კავკასიონის მთები. ამ დიდ პროცესს სათავე დაუდო საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველმა საკავშირო ყრილობამ, სადაც ერთბაშად, ძალუმად გაისმა ქართული პოეზიის, შოთა რუსთაველის ჯადოსნური ხმა. სამოცდე წლის შემდეგ ამას მოჰყვა შოთა რუსთაველის პირველი იუბილე, რამაც ქართულ კულტურას კიდევ უფრო ფართო გზა გაუხსნა საბჭოთა კავშირში შემავალი ჩვენი მოძმე ქვეყნების ხალხთა გულისაკენ.

აქვე ისიც ვთქვათ: ქართულმა პოეზიამ, ქართული პოეზიით საერთო დაინტერესებამ გამოიწვია სხვა ჩვენი მოძმე ერების პოეზიისადმი ინტერესიც.

გასული წლიდან კი, შოთა რუსთაველის რვაასი წლის იუბილეს დიადი და დაუვიწყარი დღეებიდან დაიწყო ჩვენი საუკუნეებით ნანატრი პროცესი — ქართული კულტურის მასობრივი სვლა მთელი მსოფლიოს დიდ გზებზე. ამ დიდებულ პროცესს კვლავ ქართული პოეზია წარუძღვა წინ, — ქართული კულტურის ტრადიციული მეწინავე სადროშო. შარშან მოწმე გავხდით იმისა, თუ როგორ ელვისებურად მოხდება მსოფლიო კულტურული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში ჩვენი სამშობლო, საქართველო. რუსთაველის იუბილე ქართული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის დიადი გამარჯვება იყო.

შოთა რუსთაველი... ქართული პოეტური სიტყვა...

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება, რომ ქართული პოეტური სიტყვის ახალი და ახალი მსოფლიო წარმატებები ჩვენ კვლავ მრავალ სიხარულს მოგვიტანს.

დიახ! ქართული პოეზია ნამდვილად არის იმის ღირსი, რომ ვაქციოთ „რუსთაველის დღე საერთო-სახალხო დღესასწაულად“.

ქართული კინოს 50 დღესასწაული

ათი ათასი მაყურებელი გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში ტაშს უკრავდა იუბილარებს — ქართული კინოს მოღვაწეებს, რომელიც თავის 50 წლისთავს აღნინშნავს. მაყურებელთა წინაშე წარსდგა ეროვნული კინოხელოვნების მთელი თანამედროვეობა — მსახიობები, რეჟისორები, ოპერატორები და ისინი, ვინც კადრს იქით რჩება, მაგრამ ვისი შთაგონებული ხელოვნებაც სიხარულს განაცდევინებს მილიონობით ადამიანს, ეხმარება მათ უფრო ღრმად შეიცნონ ჩვენი მრავალფეროვანი თანამედროვე სამყარო.

ასობით მხატვრული და დოკუმენტური ფილმი შექმნეს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ორმოცდაათი წლის მანძილზე. ყოფილა წარმატება, ყოფილა მეორეხარისხოვანი ლენტებიც, მაგრამ **სხვაგვარად** არც ერთი ხელოვნება არ განვითარებულა, დღეს კი საყოველთაოდ ცნობილია: ქართულმა კინომ სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში. ჩვენი პლანეტის ეკრანები ტრიუმფით შემოიარეს ფილმებმა „წითელი ეშმაკუნები“, „სამი სიცოცხლე“, „ელისო“, „უკანასკნელი მასკარადი“, „მაგდანას ლურჯა“, „სხვისი შვილები“, „ჯარისკაცის მამა“, „თეთრი ჩრავანი“, „ხეკუურული ბალადა“, „ორწყილი“ და ბევრმა სხვა ფილმმა.

ძნელია ყველა კინოსურათის ჩამოთვლა, ყველა იმათი დასახელება, ვინც ეს ფილმები შექმნა, მაგრამ ქართული კინემატოგრაფის პიონერები — ა. წუწუნავა, ი. პერეტიატინი, კ. მარკანიშვილი და ჩვენი თანამედროვენი — მ. ჭიკარელი, ს. დოლიძე, ლ. ესაკია, დ. რონდელი, გ. ასათიანი, შ. მანაგაძე, ნ. სანნშვილი, რ. ჩხეიძე, თ. აბულაძე, ლ. ღოღობერიძე, ძმები გ. და ე. შენგელაიები, მ. კოკოჩაშვილი, მ. კობასიძე ღირსეულად აჯარებენ სოციალისტური რეალიზმის დროშას, რეალიზმისა, რომელიც ამკვიდრებს ჰუმანიზმს, დედამიწის ადამიანთა ერთობასა და ძმობას.

ქართული კინოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. სპერკაძემ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტაშუმ წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილი რესპუბლიკის კინემატოგრაფისტებისადმი, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ეროვნული კინოს ქმნადობაზე ილაპარაკა რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. დოლიძემ.

სიტყვა ვძღვება გამოჩენილ საბჭოთა კინორეჟისორს, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ს. ბერასიმოვს.

— ჩვენი ქვეყნის კინემატოგრაფისტთა კავშირი, — თქვა მან, — მხურვალედ ულოცავს ქართველ კინომოღვაწეებს სახელოვან იუბილეს. ეკრანის ყველა ნამდვილი დამფასებელი ახალ საინტერესო კინოსურათებს მოელის კინოსტუდია „ქართული ფილმისაგან“.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის მთავარი რედაქტორი ბ. სურკოვი. სრულიად საკავშირო კომიტეტის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა ქართველ კოლეგებს და უსურვა დიდი შემოქმედებითი წარმატებანი.

უკრაინისა და ლატვიის კინოს მოღვაწეთა სახელით ქართველ კოლეგებს მიულოცეს უკრაინის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანმა რეჟისორმა ნ. მაშჩენკომ და ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარემ რ. პარლაინმა.

იუბილარებს — ქართული კინოხელოვნების მოღვაწეებს გულითადად მიესალმნენ აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ა. ალიკბეროვი, კინორეჟისორი ს. შარაჯანოვი, კინოსტუდია „ტაჯიკფილმის“ დირექტორი ა. ხამიდოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი თ. მაკაროვა, ბელორუსი რეჟისორი ი. დუბროვინი, დრამატურგი ბ. მდივანი, ლენინგრადელი რეჟისორი ე. შაპირო, მოლდაველი რეჟისორი ე. ლოტიანუ, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ალფანტი, საქართველოს სახალხო მხატვარი პ. სასლაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი კინორეჟისორი მ. ჭიაურელი.

ბრძოლა საბჭოთა ხალხთა ურთიერთმეგობრობისა, ინტერნაციონალიზმი, ინტერნაციონალური ერთიანობა — ასეთია ეროვნული კინოს ეს ერთ-ერთი ფესვი, ეს ერთ-ერთი ფესვი, ეს ერთ-ერთი ფესვი.

ეროვნული კინოს ქმნადობაზე ილაპარაკა ბელორუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ლოლიძემ

ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲗ ᲒᲐᲐᲗᲙᲔᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲗ!

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲬᲕᲘᲡ.

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ-ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲖᲔ, ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲔᲑᲘᲡ. ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲠᲔᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲒᲘᲛᲓᲐᲕᲗ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲬᲕᲝᲛᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲬᲕᲘᲡ.

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲗ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲑ“.

ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲠᲣᲜᲕᲐᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ (საქᲓᲘᲡᲘ). სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 სექტემბრის დადგენილებას „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ხელფასი მშრომელთა რეალური შენოსავლის ძირითადი ნაწილია. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მინიმალური ხელფასის 60–70 მანეთამდე გაზრდის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ადრე ეს დონე კი 30-40 მანეთს შეადგენდა.

დადგენილებით გათვალისწინებულია აგრეთვე ღონისძიებანი დაბალხელფასიან მუშაკთა რეალური შემოსავლის გაზრდისათვის. კერძოდ, 61 მანეთიდან 80 მანეთამდე ხელფასზე თვეში გადასახადების განაკვეთი საშუალოდ 25 პროცენტით შემცირდება.

დადგენილებაში, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები იწონებენ, ნათლად ჩანს პარტიისა და მთავრობის უდიდესი ზრუნვა დროებით შრომისუნარდაკარგულთადმი დახმარების გაღიდებისთვის.

პენსიები უდიდდებათ აგრეთვე ოფიცერთა, უფროს და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის ინვალიდებს, რომლებმაც შრომისუნარი დაკარგეს სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა წოვალეობათა შესრულების დროს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოსაუცილებლობის მიხედვით პენსიის დასანიშნავად ასაკის შემცირება კოლმეურნეთათვის, სამხედრო მოსამსახურეთა და ფეიქარ მუშა ქალთათვის.

Ი. ᲫᲕᲐᲩᲐᲮᲘᲐ,
Ა. ᲞᲠᲘᲝᲛᲝ,
ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ.

ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲨᲘ შედარებით გვიან იწყება რთველი. გათვალისწინებულია ყურძნის კრეფა გაჩაღდეს 7 ოქტომბრიდან. საიუბილეო წელი მაიაკოვსკში ზვავისა და ბარაკის წელია. მიუხედავად ამისა, რომ პირველული ამინდია, მევენახეებმა ვაზს მოვლა არ დააკლეს. ყველა ხამუშაო აგროწესების დაცვით შეასრულეს. ამით დაძლეულ იქნა ბუნების კაპრიზები და ვაზს ყველგან უხვად ახხია.

პირობის შესასრულებლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ. რთველისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხზე პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ სპეციალურად იმსჯელა. დასახა ხათანადო ღონისძიებანი, გაშლილია მუშაობა მათი პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ვარცახის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში მიხასვლელი გზები ყველგან როდი იყო წესრიგში. ეს კი, ცხადია, მოსავლის დროულად გადაბიჯებით გვიან იწყება რთველი. გათვალისწინებულია ყურძნის კრეფა გაჩაღდეს 7 ოქტომბრიდან. საიუბილეო წელი მაიაკოვსკში ზვავისა და ბარაკის წელია. მიუხედავად ამისა, რომ პირველული ამინდია, მევენახეებმა ვაზს მოვლა არ დააკლეს. ყველა ხამუშაო აგროწესების დაცვით შეასრულეს. ამით დაძლეულ იქნა ბუნების კაპრიზები და ვაზს ყველგან უხვად ახხია.

პირობის შესასრულებლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ. რთველისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხზე პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ სპეციალურად იმსჯელა. დასახა ხათანადო ღონისძიებანი, გაშლილია მუშაობა მათი პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ვარცახის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში მიხასვლელი გზები ყველგან როდი იყო წესრიგში. ეს კი, ცხადია, მოსავლის დროულად გადაბიჯებით

Ш. ᲙᲝᲜᲮᲝᲛᲫᲔ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ

ᲖᲘᲓᲕᲐᲡ შეაფერხებდა. მეურნეობის კოლექტივმა ზვრებში 7 კილომეტრის მანძილზე შეაკეთა გზები. ამასთან ᲛᲝᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲣᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ გადასაზიდტარა-მასალა, ინვენტარი.

მაიაკოვსკის, ობჩის ღვინის ქარხნებში მიმღები განყოფილებები სივიწროვის გამო ყურძნის მიღებას ვერ ახწრებდნენ. ამის გამო კოლმეურნეობიდან ყურძნით დატვირთულ მანქანებს საათობით ლოდინი უხდებოდათ. წელს ეს ნაკლიც გამოსწორდა. ჩატარდა ხათანადო რეკონსტრუქცია, უფრო გაფართოვდა ყურძნის მიმღები განყოფილებები.

ახალი მოსავლის მიხალებად კარგად მოემზადნენ მაიაკოვსკის, დიმის, წითელხევის, ვარცახის, ობჩის ღვინის ქარხნები. ყველგან შეკეთდა დაზგა-დანადგარები, ხახასწორო მეურნეობა.

რაიონში ყურძნის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ გადაზიდვის მიზნით სპეციალურად გამოყოფილია 80 ავტომანქანა.

ყურძნის უხვი მოსავლით ᲮᲐᲠᲝᲑᲘᲗ დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის წევრები. აქ სახელმწიფოს მიჰყიდიან სულ ცოტა 460 ტონა ყურძენს ნაცვლად 300 ტონისა. კოლმეურნეობაში საშუალოდ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ 70 ცენტნერ ყურძენს ელიან ნაცვლად 45 ცენტნერისა, ზოგიერთ ნაკვეთზე კი ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ 150 ცენტნერს მიიღებენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია. ისინი კვლავ მკაფიოდ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲜ მშობლიური კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. მაიაკოვსკის რაიონის მშრომელები პლენუმის მასალებს რომ გაეცნენ, გადაწყვიტეს ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ახალი შრომითი მიღწევებით უპასუხონ. სახელმწიფოს ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲝᲜ 9.500 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 8.880 ᲢᲝᲜᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲐ

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ შრომის საწარმოში—თბილისის კერამიკულ კომბინატში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალების განხილვას. ტრიბუნაზე პირველი ავიდა კომბინატის დირექტორი ვ. ურუშაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ზრდისათვის. ჩვენი ვაღია, — განაგრძო დირექტორმა, — პარტიის მშობლიურ ზრუნვას ვუპასუხოთ დამკვრელური შრომით, რათა სისტემატურად ვამრავლოთ დოვლათი. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ბრიგადის ხელმძღვანელი თ. სულიკაშვილი, საამქროს უფროსი შ. ვაშაკიძე, მოწინავე მუშა ვ. დუბოვი, პარტიული ბიუროს მდივანი რ. ვასაძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. არუშანოვი, მთავარი ინჟინერი ს. ჯიქია. მათ საწარმოს კოლექტივის სახელით ერთსულოვნად გამოაცხადეს, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ შრომის ტემპს და რესპუბლიკის საწარმოებს შორის გეგმების შესრულებით მუდამ მოწინავეთა რიგებში იდგებიან.

კერამიკოსებმა მიტინგზე ერთსულოვნად გადაწყვიტეს:

საიუბილეო წელს გეგმის გადამეტებით მისცემენ სამშობლოს 25 ათას კვადრატულ მეტრ მოსაპირკეთებელ ფილებს, 300 ცალ სანტექნიკურ მოწყობილობას და 20 ათასი მანეთის ᲰᲑᲐᲗᲕᲠᲣᲚᲘ კერამიკულ ნაწარმს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკა... ამ საწარმოს კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ხალხმრავალ კრებაზე, რომელიც აქ 28 სექტემბერს გაიმართა, მღარავმა შ. ყაველაშვილმა, გამომჭრელმა ა. მელქაძემ, პრიფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ბუჯიაშვილმა და სხვა ორატორებმა დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მშობლიური ზრუნვისათვის მშრომელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

— ეს ყველაზე საუკეთესო და ძვირფასი საჩუქარია, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი იუბილეს წინ მივიღეთ, — თქვა მღარავმა შ. ყაველაშვილმა. — მაგრამ ვალში არც ჩვენ დავრჩებით.

ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა სექტემბრის დავალება. მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 100,8 პროცენტით, ხოლო პრემიუსარისხოვანი ფეხსაცმელი გამოშვებულია გეგმაზე 1,4 პროცენტით მეტი.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვეტა თვის დამლევისათვის გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას კიდევ 1.200 წყვილი პირველხარისხოვანი ფეხსაცმელი.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საქᲓᲘᲡᲘ). სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ აჭარის მშრომელთა ახალი მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, პარტიისა და მთავრობისადმი გულწრფელი მადლობის დიდი გრძნობა გამოიწვია.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები. მიტინგების მონაწილენი მხურვალედ იწონებენ პარტიის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

მიტინგზე გამოსულმა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის № 16 საამქროს უფროსმა გიორგი რობაქიძემ თქვა:

— ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება დიდი ოქტომბრის სახელოვანი 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომლებიც აღგვაფრთოვანებენ ახალი შრომითი გმირობისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებანი, რომლებიც შეფასებულია ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის საარსებო ინტერესებს, ჩვენი ქარხნის კოლექტივის მუშაობის მძლავრი სტიმული გახდება.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა აგრეთვე ბათუმის გემთსაშენებელ ქარხანასა და ქარხანა „ელექტროსელსაწყობში“, ქობულეთის რაიონის სოფელ წყაფროკის კოლმეურნეობაში, ახალშენის სუბტროპიკულ კულტურათა საბჭოთა მეურნეობაში, აჭარის სხვა სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მიღებულ რეზოლუციებში მიტინგების მონაწილენი მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებს და კისრულობენ ვალდებულებას ვადამდე შეასრულონ წლიური დავალება.

ᲖᲝᲚᲝᲜᲘᲜ. (საქᲓᲘᲡᲘ). ბოლნისის რაიონის მშრომელები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოებში გაიმართა პლენუმის დადგენილებისადმი მიძღვნილი მიტინგები. „საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის განყოფილებაში გამართულ მიტინგზე სარემონტო სახელოსნოს გამგემ ბინალი გამბაროვმა თქვა: „მადლობა პარტიასა და მთავრობას ზრუნვისათვის.

ამ ზრუნვის პასუხად დავიჭარეთ საოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტს და 1 ნოემბრამდე შევასრულებთ წლიურ ᲕᲐᲒᲐᲛᲐ“.

ხალხმრავალი კრებები გაიმართა აგრეთვე ბოლნისის მექანიზაციის საბჭოთა მეურნეობაში, ფაბრალოს, სარაჩლოს, ქვემისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საქᲓᲘᲡᲘ). რაიონის სამრეწველო საწარმოებში — ქარხნებში, საამქროებში, მაღაროებში იმართება მიტინგები, მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 სექტემბრის ახალი დადგენილებისადმი.

გუშინ ასეთი მიტინგი გაიმართა აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოში. ტრიბუნაზე პირველი ავიდა დიატომიტის შახტის მბურაველთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი პ. მოდებაძე.

— პარტიისა და მთავრობის ამ დიდი ზრუნვის პასუხად, — თქვა მან, — ჩვენი ბრიგადა ახალ ვალდებულებას კისრულობს. დღეიდან ყოველ ცვლაში გეგმის გადამეტებით ამოვიღებთ 5–6 ტონა დიატომიტს და ოქტომბრის იუბილესთვის საშობლოს მივცემთ 200 ტონამდე ზეგეგმითს. პროდუქციას.

აქატის მომპოვებელთა მექანიზებული ბრიგადის ბრიგადირმა შ. ლომიძემ განაცხადა, რომ მისი ბრიგადა საიუბილეოდ საშობლოს მისცემს 350 კილოგრამ ზეგეგმითს აქატს.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს დირექტორმა რ. ᲩᲘᲜᲔᲚᲐᲫᲔ. მან თქვა, რომ აქატისა და დიატომიტის მომპოვებლებმა ჯერ კიდევ 15 სექტემბრისათვის გაანაღდეს 9 თვის დავალება და დღემდე გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 35 ათასი მანეთის პროდუქცია. პლენუმის დადგენილების პასუხად სამმართველოს კოლექტივი კიდევ უფრო გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და გამოუშვებს ათეულ ათასობით ზეგეგმითს პროდუქციას.

საიუბილეო ვალდებულებით სამმართველოს კოლექტივს 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით უნდა ამოიღოს 3000 ტონა დიატომიტი და 500 კილოგრამი ტექნიკური აქატი. ახალი ვალდებულებით კი საიუბილეოდ ახალციხელი აქატ-დიატომიტის მომპოვებლები გეგმის გადამეტებით ამოიღებენ 3.500 ტონა დიატომიტსა და 600 კილოგრამ ტექნიკურ აქატს.

ᲗᲔᲝᲖᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐ

△ **ᲗᲘᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ.** რაიონის 500-ზე მეტი პოლტინფორმატორი, რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები დიდ მუშაობას ეწევიან მშრომელთათვის პარტიის თეზისების გასაცნობად. ამასთან ეწყობა თემატური საღამოები.

სოფელ ასურეთის კოლმეურნეობაში გაიმართა საღამო თემაზე — „ოქტომბერი და ჩვენი თანამედროვე ცხოვრება“.

ლექცია „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია დასაწყისია ახალი ერისა კაცობრიობის ისტორიაში“ — წაიკითხა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა შ. ნოზაძემ. მოხსენებით „სოფელი ასურეთი გუშინ, დღეს და ხვალ“ გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ჩომახაშვილი.

საღამოზე მოგონებებით გამოვიდნენ პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1918 წლიდან გ. ᲫᲔᲚᲘᲫᲔ. შრომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1932 წლიდან ნ. მეტრეველი.

თემატურ საღამოზე კოლმეურნეობაში ხანგრძლივი და უანგარო მუშაობისათვის საპატიო სიგელი გადაეცა 25 შრომის ვეტერანს. მათ მიესალმნენ ასურეთის საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ᲫᲔᲚᲘᲫᲔ, ახალგაზრდა კოლმეურნე ტ. [illegible] ლი, მოსამსახურე ვ. [illegible] ᲫᲔ.

Მ. ᲫᲔᲚᲘᲫᲔ.

△ **ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ.** (საკ. კორ.). პარტიის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული განყოფილების თაოსნობით დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი „საოქტომბრო კითხვა“.

საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. იაკობიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობა“, ხოლო პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ზ. ივანიშვილმა თემაზე — „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ძირეული გარდატეხაა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ცხოვრებაში“.

△ **ᲖᲣᲚᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ.** (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს.

საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ᲙᲔᲠᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲘ წაიკითხა მოხსენება — „ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები“. საინტერესო იყო დოცენტების ა. აფხაიძისა და მ. ᲫᲔᲚᲘᲫᲘᲡ მოხსენებები.

სამეცნიერო სესიაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქარის საცდელი სადგურის დირექტორი გ. გაფრინდაშვილი, „საქსოფლტექნიკის“ ზესტაფონის განყოფილების მმართველი ა. ᲑᲐᲠᲑᲐᲩᲐᲫᲔ, ტყბაკინის კოლმეურნეობის ეკონომისტი ნ. გაგოშიძე, ზესტაფონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი თ. ᲩᲐᲥᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ. ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲝᲓᲔᲗᲔᲡ. ერედვის საბჭოთა მეურნეობის № 1 ბრიგადის წევრები ის-ის იყო შესვენებას აპირებდნენ, რომ ვიღაცამ დაიძახა, აგიტატორი მოდიხო.

მართლაც, მუშებისაკენ მიიჩქაროდა ნანუკი ქრისტესიაშვილი. მალე მთელმა ბრიგადამ მოიყარა თავი. ამჯერად აგიტატორის საუბრის თემა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. ბრიგადის წევრებმა დიდი გულისყურით მოისმინეს აგიტატორის საუბარი.

Ა. ᲪᲝᲢᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲗᲑᲘᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ

27 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომელთა თათბირი. თათბირმა განიხილა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებასთან. თათბირში მონაწილეობდნენ მოსკოვიდან ჩამოსული თვალსაჩინო მეცნიერები — აკადემიკოსი ა. გუბერი, პროფესორები მ. ᲕᲝᲚᲙᲝᲕᲘ, ვ. ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲐᲫᲔ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრი პროფესორი ს. ᲛᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ᲬᲣᲠᲔᲗᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲚᲐᲰᲐᲠᲐᲯᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲛᲐ Ა. ᲒᲣᲑᲔᲠᲛᲐ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ Გ. ᲒᲐᲒᲨᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, „ᲡᲐᲥᲡᲝᲤᲚᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ Ა. ᲑᲐᲠᲑᲐᲩᲐᲫᲔ, ᲢᲧᲑᲐᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘ Ნ. ᲒᲐᲒᲝᲨᲘᲫᲔ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ Ა�გᲠᲝᲜᲝᲛᲘ Თ. ᲩᲐᲥᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ. ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲝᲓᲔᲗᲔᲡ. ერედვის საბჭოთა მეურნეობის № 1 ბრიგადის წევრები ის-ის იყო შესვენებას აპირებდნენ, რომ ვიღაცამ დაიძახა, აგიტატორი მოდიხო.

მართლაც, მუშებისაკენ მიიჩქაროდა ნანუკი ქრისტესიაშვილი. მალე მთელმა ბრიგადამ მოიყარა თავი. ამჯერად აგიტატორის საუბრის თემა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. ბრიგადის წევრებმა დიდი გულისყურით მოისმინეს აგიტატორის საუბარი.

Ა. ᲪᲝᲢᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ

ᲒᲝᲠᲘᲡ, ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ და ფიზიკური ძალების ახალი აღმავლობით ეგებებიან საბჭოთა ადამიანები სამშობლოს სახელოვან იუბილეს, რომელმაც 50 წელიწადში უმაგალითო სწრაფი ტემპით განაკეთარი ეკონომიკა, კულტურა, აამაღლა ხალხის ცხოვრების დონე. ადამიანისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის ახალი მკაფიო გამოვლინება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება **„საბჭოთა ხ

საუკთესო ცხოვრება

ოქტომბერი და ჩვენი პლანეტა

დიადი იდეების გამარჯვება

პრაღა, (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს 55-ე სესიამ დაავალა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანს საზეიმო საერთაშორისო პროფკავშირული ასამბლეა მოიწვიოს ლენინგრადში, ისტორიულ ადგილას, სადაც 50 წლის წინათ გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ნათქვამია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილის ჰ. ეანსუს განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბიულეტენში.

დღეს მსოფლიოში კაპიტალიზმის საწინააღმდეგოდ, რომელიც 50 წლის წინათ თითქოს მარადიული და ურღვევი იყო, ზეიმობს და ბრწყინავს სოციალიზმის, დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის იდეები.

50 წლისთავი, რომელსაც მალე ვიდღესასწაულებთ მთელი მსოფლიოს პროფკავშირულ აქტივისტებთან, იმ ეროვნული და რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც შედიან ან არ შედიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში, ხელს შეუწყობს მათი სოლიდარობისა და ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

სავსებით ვგრძნობთ იმ უდიდეს სიყვარულს, რომლითაც მთელი კაცობრიობა და პირველ რიგში მუშათა კლასი ეკიდება ოქტომბრის გამარჯვებულებს, და ვამაყობთ, რომ ჩვენს რიგებში არიან მათი მემკვიდრენი და გვსურს ამ სახელოვან წლისთავთან დაკავშირებით ჩვენი ორგანიზაციის მილიონობით წევრის სახელით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სრული სოლიდარობა გამოვუცხადოთ საბჭოთა კავშირის მშრომელებსა და პროფკავშირებს, რომლებმაც უდიდესი კონსტრუქციული როლი შეასრულეს სოციალისტური წყობილების განმტკიცების საქმეში.

ამერიკის ქურნალი იუბილეს შესახებ

ვაშინგტონი, (საკდესი). გამოვიდა ამერიკის ჟურნალ „კარენტ ჰისტორის“ საოქტომბრო ნომერი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს.

სტატიაში „საბჭოთა ეკონომიკის ზრდა რევოლუციის შემდეგ“ ეკონომიკის პროფესორი მარშალ გოლდმენი წერს: საბჭოთა კავშირას ყველაზე დაუნდობელი კრიტიკოსიც კი უნდა დაეთანხმოს იმას, რომ სსრ კავშირმა შეძლო განუვითარებელი ქვეყანა გადაექცია უაღრესად ინდუსტრიალიზებულ სახელმწიფოდ. საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად ამზადებენ მეტ ინჟინერს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. კოსმოსური კვლევანი დ. სამხედრო ტექნიკის ბევრ დარგში და მრეწველობის მთელ რიგ დარგებში კი რუსებმა გაუსწრეს შეერთებულ შტატებს.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი დევიდ კატელი ხაზგასმით აღნიშნავს, „ოქროს იუბილეს“ წინ სსრ კავშირი წარმოგიდგება როგორც დიდი სახელმწიფო, რომელსაც აქვს მოწინავე ეკონომიკა და შემდგომი პოლიტიკური და სოციალური განვითარების უამრავი გეგმა.

ამერიკის ცნობილი მონოპოლიის „რენდ კორპორეიშნის“ თანაშრომელი თომას ვოლფი სტატიას უძღვნის სსრ კავშირის სამხედრო ძლიერების ზრდას. იგი წერს, რომ საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დარსეულად გაუძლეს „უდიდეს გამოცდას მეორე მსოფლიო ომის დროს. უკანასკნელი ნახევარი საუკუნე, წერს შემდეგ ავტორი, იმის მოწმე იყო, რომ „საბჭოთა კავშირი გახდა ერთი მსოფლიოს ორ უძლიერეს სამხედრო სახელმწიფოთაგან“.

ა. ა. გრომიკო გამოემგზავრა ნიუ-იორკიდან

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც მეთაურობდა საბჭოთა კავშირის დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიაზე, ნიუ-იორკიდან საშობლოში გამოფრინდა.

ნიუ-იორკის აეროპორტში ა. ა. გრომიკო გაცილეს სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინმა და სოციალისტური სახელმწიფოების მუდმივმა წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ნიუ-იორკიდან გამოფრენისას ა. ა. გრომიკომ გააკეთა შემდეგი განცხადება:

გენერალური ასამბლეის XXII სესიის მუშაობის დაწყებითმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ბევრ სახელმწიფოთა მთავრობებს აწუხებთ ახლანდელი საერთაშორისო ვითარება. ეს წუხილი ასახავს ხალხთა მოთხოვნას მიაღწიონ არსებული დაძაბულობის შენელებას, ბოლო მოუღონ აგრესიის აქტებს.

გენერალური ასამბლეის სესიაზე დასმული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები. მინდა კიდევ ერთხელ მივაქციო ყურადღება ორ დიდ საკითხს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა საბჭოთა მთავრობის დავალებით. ეს არის საკითხი აგრესიის ცნების განსაზღვრის დაჩქარების საკითხის შესახებ და საკითხი ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის კონვენციის დადების შესახებ. ამ პრობლემების დასმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე ნაკარნახევია საერთაშორისო ურთიერთობის ახლანდელი განვითარებით, მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის ქმედითი ღონისძიებების განხორციელების საჭიროებით.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ბევრმა ხახელმწიფომ გამოიჩინა ინტერესი საბჭოთა კავშირის ამ წინადადებებისადმი და დადებითად მოეკიდა მათ.

თავისთავად ცხადია, რომ დიდ საკითხად ვლიან რჩება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობისა და ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის საკითხი. მისი გადაჭრის გზები ჯერ არ არის გამონახული, მაგრამ იმ ნრეებმა, რომლებიც ხელს უშლიან ამ პრობლემის მოწესრიგებას, უნდა გათვალისწინონ, რომ როცა ქმნიან დაბრკოლებებს, წინააღმდეგობას უწევენ ამ საკითხის გადაჭრას, ამით დიდ პასუხისმგებლობას კისრულობენ ხალხთა წინაშე ამ რაიონში მოვლენების შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია გენერალური ასამბლეის სესიაზე ყველავე თანაშრომლებს სხვა დელეგაციებთან შესაბამისი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გზების გამოსანახავად და იხელმძღვანელებს მშვიდობის ინტერესებით.

საბჭოთა კავშირმა ასეთი კონსტრუქციული პოლიტიკა მრავალჯერ უჩვენა მთელ მსოფლიოს, მათ შორის ახლაც, გენერალურ ასამბლეაზე. ჩვენი ქვეყნის დიდი იუბილეს წინ, რომელსაც დიდი ენთუზიაზმით ეგებებიან საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების სხვა ხალხები, მილიონობით ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობარი.

უ ტანის წინადადება

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა მოითხოვა გენერალური ასამბლეის XXII სესიის განსახილველად დღის წესრიგში შეიტანონ წინადადება „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლთა იმუნიტეტის დადასტურების შესახებ“.**

მემორანდუმში გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ამასწინანდელმა ინციდენტმა — სპილოს ძვლის ნაძირის ხელისუფალთა მიერ გვინეის დელეგაციის დაკავებამ — შეიძლება არასასურველი პრეცედენტი შექმნას.

**ამ შემთხვევაში ეს ეხება ბენინის, ბურუნდის, ეთიოპიის, ირლანდიის, ისრაელის, ლიბანის, ნიგერიის, ტანზანიის, ტუნისის, ფილიპინების, ჩეხოსლოვაკიის, ჩილეს, ეკვადორის, ეგვიპტის, ეთიოპიის, ეკვადორის, ეგვიპტის, ეთიოპიის, ეკვადორის, ეგვიპტის, ეთიოპიის



რუსთაველის დღე — პოეზიის დღე

დღეს, 30 სექტემბერს, ქართული პოეზიის ოსტატებს ზეიმი აქვთ. „რუსთაველის დღე — პოეზიის დღე“, ამ მაღალი ღირებულებით ეწყობა უკვე კეთილ ტრადიციად დამკვიდრებული ქართველი პოეტების დღესასწაული.

დედაქალაქში „რუსთაველის დღე — პოეზიის დღე“ აღინიშნება დიდი ლიტერატურული საღამოთი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და ქართული სცენის ოსტატები. ქართველი პოეტების მონაწილეობით პოეზიის საღამოები გაიმართება თბილისის საწარმოდაწესებულებებში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონებში.

მკითხველები დღეს მიიღებენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ერთდროულ გაზეთს — **„რუსთაველის დღე — პოეზიის დღე“**, რომელიც „პრავდის“ ნახევარ ფორმატზეა დაბეჭდილი და თექვსმეტგვერდიანია. გაზეთში შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენი მწერლების პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, კრიტიკული წერილები, ნარკვევები, აგრეთვე რუს და მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები. გაზეთი დასურათებულია ფოტომასალებით, მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციებითა და ორნამენტებით.

საინტერესოა ცნობილი რუსი პოეტის, ქართველი ხალხის გულითადი მეგობრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ნიკოლოზ ტიხონოვის პატარა წერილი-მისალმება, რომელშიც ნათქვამია:

„რა დიდებულია, რომ ამ წლიდან დადგინდა რუსთაველის დღე — ქართული პოეზიის დღე.

ვფიქრობ, რომ ეს წამოწყება მარტო საქართველოში როდი ჰპოვებს ცხოველმყოფელ გამოხმაურებას, — ყოველი კუთხიდან და რესპუბლიკიდან გამოეხმაურებიან მეგობრები ამ დღეს. გაზეთი იქნება მიმზიდველი და მრავალფეროვანი. ამ მრავალფეროვნების შესამატებლად გიგზავნით ლექსს, თუ დაბეჭდავთ ესოდენ საპატიო დღეს, დიდად გამახარებს.

გისურვებთ წარმატებას და ყოველ სიკეთეს!

გულითადი სალმით **ნიკოლოზ ტიხონოვი**“.

ნ. ტიხონოვის ლექსი გამოქვეყნებულია გაზეთის პირველ გვერდზე.

„**კომუნისტის**“ დღევანდელ ნომერში ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ რამდენიმე ლექსს, რომლებიც დაბეჭდილია ერთდროულად გაზეთში „რუსთაველის დღე — პოეზიის დღე“.

ნიკოლოზ ტიხონოვი,

რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

ეთებში

კვლავ ვესალმები მაღალ
მწვერვალებს,
პირველი თოვლის გამობრწყინებას,
ჯადოქარ ტყეს და კლდეს
მოელვარეს,
ხერთვისთან ორი ჩქერის დინებას.
ყველა მთა ჰყვება საოცარ ამბავს,
თვით ნაკადულიც ჰქუხს
სიწყნარეში
და მიამბობენ ყველანი ალბათ,
თუ რა გადახდათ მათ ჩემს
გარეშე.
ვისმენ ფოთლების საოცარ ზრიალს,
ჩანჩქერი ცვივა კლდიდან
ზხეფებად,
ციცაბოებზე ფანტელი ჰყრია
და ლოყას მთების სუნთქვა ეხება.
ვისმენ თქვენს ამბებს, რა
საკვირველი
თქმულების, ზღაპრის აქვს
ბრწყინვალება.
ისევ კარგი ხართ, როგორც
პირველად
აქ რომ გიხილეს ჩემმა თვალებმა.
მესაუბრებით, ცის სილურჯეში
პირველი თოვლის შუქი ციალებს
და ყოველ ახალ საუკუნეში
უფრო მეტს ეტყვით ადამიანებს.

თარგმანი რევაზ მარგიანისა.

ქართველი მოსწავლის ნამუშევარი მონრეალში

ქუთაისი. (საკ. კორ.). „სიყვარულის ზეიმი“ — ასე. უწოდა თავის ორიგინალურ მხატვრულ ალბომს ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლემ ვლადიმერ მდივანმა, რომელიც გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს მიუძღვნა.

ამ ალბომის შექმნას, რომელმაც ნორჩ შემოქმედთა რესპუბლიკურ კონკურსზე პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა, ნიჭიერმა მოსწავლემ მთელი ხუთი წელიწადი მოანდომა.

ალბომის გარეკანი არყის ხის, ხოლო ფურცლები კაკლის ხის მასალისაგან არის დამზადებული. მათ შოთასა და მისი პოემის გმირების პორტრეტები ამშვენებს. ტექსტი ფაქიზად დაშუშავებულ ტყავზეა დაწერილი.

ქუთაისელი მოსწავლის ვლ. მდივნის ეს ორიგინალური ნამუშევარი ამჟამად მონრეალის გამოფენაზე, საბჭოთა პავილიონშია ექსპონირებული.

იუბილეს მიეძღვნა

გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური გამოშვება, მიძღვნილი ქართული კინემატოგრაფიის 50 წლისთავისადმი

გუშინ ქართულმა კინემატოგრაფიამ თავისი 50 წლისთავი იდღესასწაულა. გაზეთმა „**კომუნისტმა**“ ამ საიუბილეო თარიღს მიუძღვნა **სპეციალური გამოშვება**, რომლის პირველ გვერდს ამ სურათზე ხედავთ.

სპეციალური ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილია სსრ კავშირის სახალხო არტისტის **სიკო დოლიძის** წერილი „**სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი**“, რომელშიც მოგვითხრობს ქართული კინოს მიერ განვლილ გზაზე. აქვეა ჩვენი კინოს მეგობართა მისასალმებელი წერილები.

ნომრის დანარჩენ სამ გვერდში დაბეჭდილი წერილები, მოგონებები, ციფრები და ფაქტები ეხება ამ სფეროს. ამ ნომერში ჩვენი კინემატოგრაფიის წარსულსა და აწმყოზე, 50 წლის მანძილზე შექმნილ უმნიშვნელოვანეს კინოფილმებზე.

გაზეთის ფურცლებზე ერთხელ კიდევ შეხვდებით ჩვენი კინოს სახელმოხვეჭილ ოსტატებს. იმათ, რომლებიც ქმნიდნენ მაღალ ხელოვნებას, მაგრამ დღეს ალარ არიან, და იმათ, ვინც წარსულის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს, საბჭოთა კინოოსტატთა მოწინავე რიგებში დგას.

ნომერში დაბეჭდილია ქართული კინოფილმების მრავალი კადრი, 1916 წლით დაწყებული და უკანასკნელი წლებით დამთავრებული, აგრეთვე მხატვარ გ. ფირცხალავას მეგობრული შარჟი და სხვა ფოტომასალები. ამ სპეციალური გამოშვების ტირაჟია 15 ათასი.



• მშობლიური ველიდან •

„**თამარის დროინდელია**“ — ამბობენ ამ ხიდზე აჭარაში. ყამთა სვლას თავიანი დალი დაუმჩნევია შინაგის, მაგრამ ვერ ჩაუტეხავს, ვერ დაულეწია. იმასაც ამბობენ სიმკვიდრისათვის ძველი მშენებლები კვერცხის გულს ურევდნენო ასეთი ნაგებობების დულაბში. ასეა, თუ ისე, დგას ხიდი აჭარისწყალზე და მრავალი საუკუნეა ერთგულად ემსახურება ხალხს.

ფოტო ვ. მითაიშვილისა.

ერთი ფოთოლი

რა ვარ; ვინა ვარ? ერთი ფოთოლი
უმშვენიერეს სიცოცხლის ხისა.
დედა-ბუნებამ ჩამოვალა ღირსად,
მის მცირე ტოტზე მეცხოვრა თრთოლვით...
მეც ცას შევხარი, მეც მისკენ ვილტვი,
მაქვს ატოტვილი მზისკენ ხელები...

მეც გულში მიზის პატარა კვირტი,
მას დავშრიალებ და ვეფერები.
რა ვარ? ვინა ვარ? — ფოთოლი ერთი
და პაწაწინა კვირტის მფლობელი.
მეც მითქვამს ჩემი სათქმელი ხეთა
და მიმღერია საგალობელი.

მარიკა გარათაშვილი

სიმღერა პრ ქვდება

ნიკო ჟუმსიაშვილის ხსოვნის საღამო

საქართველო ემშვიდობებოდა ვანო სარაჯიშვილს.

ოპერის თეატრის სცენაზე „აბესალომ და ეთერში“ აბესალომის პარტიას ვიოლონჩელი ასრულებდა. გამოსამშვიდობებელი სპექტაკლი იმდენად ამაღელვებელი იყო, რომ დარბაზში მაყურებლები ცრემლს ვერ იკავებდნენ.

ობლად დარჩენილი ფალიაშვილის ოპერა ელოდა მემკვიდრეს, რომელიც ურთულესი საკითხის წინაშე იდგა. ჯერ ერთი, ვანო სარაჯიშვილი და აბესალომი ხალხისათვის განუყოფელი ცნებები იყო. გარდა ამისა, თვით ვანოს ბუნება, ხასიათი ხალხში ლეგენდად იყო დარხეული. მისი მომხიბვლელობა, ხმა და შესრულების ოსტატობა ხალხის განუზომელი სიყვარულით სარგებლობდა.

ვინ იმღერებდა აბესალომს?!

საოპერო თეატრი კვლავ სავსე იყო მაყურებლებით, ახალგაზრდა მომღერლის გამოსვლა უფრო რთულდებოდა იმიტომაც, რომ უცნობი მსახიობის დებიუტი სარაჯიშვილის გარდაცვალებით ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობის დროს დაემთხვა.

პრემიერავე სპექტაკლის შემდეგ საქართველოს მუსიკალური საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ახალგაზრდა მომღერლის, კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტის **ნიკო ჟუმსიაშვილის** სახელი. ქართველ მუსიკოსთა ოჯახში კიდევ ერთი ნიჭიერი მომღერალი მოვიდა.

ნიკო ჟუმსიაშვილის სახელი მას შემდეგ ქართულ სასიმღერო კულტურაში ბრწყინვალე ასოებით ჩაიწერა.

მოღვაწეობის მოკლე ხანში ნიკო ჟუმსიაშვილმა ორმოცდაათამდე საოპერო პარტია შეასრულა. მათს შორის იყო მსოფლიოს კლასიკოსთა ურთულესი ნაწარმოებები. მომღერალმა სულ მალე ჰპოვა აღიარება და მსმენელთა სიყვარული.

ლამაზი ტემბრის ძლიერი ხმა, რომელსაც ოსტატურად ფლობდა ნიკო ჟუმსიაშვილი, მომღერალმა ქართული საოპერო თეატრის საქმეს მიუძღვნა და შეალია. განცვიფრებას იწვევდა მისი გამძლეობა.

საქმისადმი ერთგული, მეგობრობაში გულწრფელი, ალალი და ბუნებით ძლიერი კაცის სულიერი სამყარო მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. მისი გრძნობა და გონება მხოლოდ მუსიკით არ იყო შემოფარგლული. ბუკინისტების ძველ მეგობარს ნიკოს კარგი აგრონომის, პოეზიისა და ლიტერატურის მცოდნის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

სავალალოა, რომ იმდროინდელმა ხმის ჩაწერის ცუდმა ტექნიკამ ზუსტი ფერებით ვერ შემოგვინახა მომღერლის ხმა. მაგრამ ნიკო ჟუმსიაშვილის ხსოვნას ქართული ელექტროფონიანი ფირფიტა ინახავს.

ოპერა „დაისის“ შესავლით დაიწყო ეს საღამო, რომელსაც ტრადიციული მსვლელობა არ ჰქონდა. საღამოზე არ იყო ვრცელი მოხსენებები და სიტყვები ნიკო ჟუმსიაშვილის დამსახურებაზე ეროვნული ვოკალური კულტურის წინაშე. გამოდიოდნენ ისინი, ვინც პირადად იცნობდა მომღერალს და იხსენებდნენ მასთან ურთიერთობის ამბებს. ამან საღამოს თავისებური, მეტად თბილი და წრფელი ელფერი შესძინა.

საღამოზე მოსულებმა მოისმინეს დ. ანთაძის, დ. მჭედლიძის, პ. კანდელაკის, ქ. ყავრიშვილის, ბ. კრავეიშვილის, მ. ყვარელაშვილის, პ. ამირანაშვილის, ა. ძიძიგურის მოგონებები. ამ მოგონებათა შედეგად უფრო ნათლად დაიხატა ნიჭიერი ქართველი მომღერლის ნიკო ჟუმსიაშვილის სახე და ხასიათი, მისი ბუნება. შემდეგ ფირზე ჩაწერილი ხმა მოისმინეს. ნიკო ჟუმსიაშვილი „თავო ჩემოს“ მღეროდა.

საღამო დასრულდა კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ ოპერის თეატრის სოლისტები და თბილისის პიონერთა სახასხლის მომღერალთა ჯგუფი.

ზ. რცხილაძე.

ახალი უნგრული პრეპარატები

ჩვენი ინტერვიუ

სულ ახლახან დამთავრდა ჩვენს რესპუბლიკაში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის დეკადა, რომელმაც მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, და კვლავ გვეწვენენ სტუმრები უნგრეთიდან. ამჯერად ესენი არიან მედიცინისა და ფარმაკოქიმიური დარგის მუშაკები. ისინი მონაწილეობას იღებენ უნგრული პრეპარატების კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევის შედეგებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმში, რომელიც მოიწვევა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფარმაცევტული მრეწველობის გაერთიანებამ.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის, სანიტარიაპიგიენისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტების ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ს. კოზალაძის და სთხოვა მას „ქონფუნიცაზს“ მკითხველებისათვის გაეცნო, რა საკითხებს ეძღვნება სიმპოზიუმი, როგორია მისი მუშაობის გეგმა.

ჩვენს კათედრას, — განაცხადა მან, — რომელიც ქალაქის I საავადმყოფოს ბაზაზეა შექმნილი, უკვე ცხრა წელია მეცნიერული კავშირი აქვს დამყარებული უნგრეთის ფარმაკოქიმიური დარგის სპეციალისტებთან. აღსანიშნავია, რომ ჩვენს კლინიკებში გამოცდილია და შესწავლის შემდეგ საგზური მიეცა 30-მდე უნგრულ პრეპარატს, რომლებსაც წარმატებით იყენებენ მთელი კავშირის მასშტაბით.

ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ უნგრეთში, მონაწილეობა მიგვიღია სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში, ასევე აქ, თბილისში, ჩამოსულან უნგრელი სპეციალისტები. ასე რომ მეცნიერული კავშირი საქართველოსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებს შორის წლითიწლობით ფართოვდება და ვითარდება.

ამჟამად თბილისში მოწვეული სიმპოზიუმი, რომლის მუშაობა უკვე დაიწყო და მიმდინარეობს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში, ჩვენი რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს.

სიმპოზიუმი განიხილავს გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს, როგორიც არის სტენოკარდია, ინფარქტი, ინფარქტის შემდგომი მდგომარეობა, გვირგვინოვანი სისხლის მიმდინარეობა, და გულის სხვა დაავადებებს, აგრეთვე გასტრიტებს, კუჭისა და თორმეტგოჯანაწლავის წყლულოვან დაავადებებს, ღვიძლისა და სანაღვლე გზების ანთებით პროცესებს.

სიმპოზიუმის მუშაობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ლ. საყვარელიძემ. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს უნგრეთის მოსკოვის საელჩოს წარმომადგენელმა ი. სეკერმა და უნგრელმა მეცნიერმა, პროფესორმა ი. კნოლმა. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ცნობილი უნგრელი მეცნიერები, ბუდაპეშტის კარდიოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გეორგ გაბორი, უნგრეთის ფარმაცევტიული გაერთიანების საელჩპორტო სამმართველოს უფროსი ლაიოშ შოიმდი, უნგრეთის ფარმაცევტიული ქიმიკოსთა ხანა „გედეონ რიხტერის“ ფარმაკოლოგიის განყოფილების გამგე ლასლო სპორნი, ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ნ. ხარჩენკო, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები ლ. მიასნიკოვი, ვ. მეტელიცა (მოსკოვი) და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან და ქალაქიდან ჩამოსული ცნობილი მეცნიერები და პრაქტიკოსი ექიმები.

სიმპოზიუმის დამსწრეთა დიდ ინტერესს იწვევს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფარმაკოქიმიური გაერთიანების მიერ მოწყობილი ახალი უნგრული პრეპარატებისა და კლინიკური ხელსაწყოების გამოფენა. აქვე წარმოდგენილია მდიდარი ლიტერატურა ამ პრეპარატების შესახებ.

ტ. შტადლერის პირველი დამარცხება

სუბოტიცა. მსოფლიოს ჩემპიონ **ნ. გაფრინდაშვილთან** მატჩის პრეტენდენტთა ტურნირზე გათამაშდა მე-15 ტური. ყურადღების ცენტრში **ტ. შტადლერ-ტ. ზატულოვსკაიას** პარტია იყო. შეძლებდა თუ არა საბჭოთა მოჭადრაკე ლიდერის დამარცხებას? იუგოსლავიელის გამარჯვების შემთხვევაში პრეტენდენტის ვინაობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი. იქნებოდა. ტ. ზატულოვსკაიამ კარგად წარმართა ბრძოლა და პირველი დამარცხება მიაყენა ლიდერს.

ამავე ტურში **ვ. კოზლოვსკაიამ** მოიგო **ფ. პეტერსკერკს** (პოლანდია), **ა. კისლოვამ** — **კ. ფრიდმანს** (ისრაელი), **ა. კუშნირმა** — **ე. არონსონს** (აშშ). კვლავ წარუმატებლად ითამაშა **ნ. ალექსანდრიამ**, იგი რუმინელ **ა. ნიკოლაუსთან** დამარცხდა.

თხუთმეტი ტურის შემდეგ ლიდერს **ტ. შტადლერს** — 11 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, **ა. კუშნირს** — 10,5 ქულა (1), **ტ. ზატულოვსკაიას** 10 (1), **ვ. კოზლოვსკაიას** — 9,5 (2), **ა. კისლოვას** — 9,5 (1), **ა. ნიკოლაუს** (რუმინეთი) — 9,5, **ვ. ნედელკოვიჩს** (იუგოსლავია) — 9 (1), **მ. მარკოვიჩს** (იუგოსლავია) — 8 (1), **ნ. ალექსანდრიას** — 8 ქულა.

მატჩები და შედეგები

გუშინ მოსკოვში გაიმართა მორიგი მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. ერომანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ლუგანსკის „ზარია“. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ჩატარდა აგრეთვე „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მატჩები. ბათუმის „დინამომ“ თავის მოედანზე წაგო სტავროპოლის „დინამოსთან“ — 0:2, ტყიბულის „მეშახტემ“ კი დაამარცხა ლიდერი—კრასნოდარის „ყუბანი“—1:0.

საერთაშორისო სიმპოზიუმი თბილისში

საავადმყოფოს ბაზაზეა შექმნილი, უკვე ცხრა წელია მეცნიერული კავშირი აქვს დამყარებული უნგრეთის ფარმაკოქიმიური დარგის სპეციალისტებთან. აღსანიშნავია, რომ ჩვენს კლინიკებში გამოცდისა და შესწავლის შემდეგ საგზური მიეცა 30-მდე უნგრულ პრეპარატს, რომლებსაც წარმატებით იყენებენ მთელი კავშირის მასშტაბით.

ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ უნგრეთში, მონაწილეობა მიგვიღია სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში, ასევე აქ, თბილისში, ჩამოსულან უნგრელი სპეციალისტები. ასე რომ მეცნიერული კავშირი საქართველოსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებს შორის წლითიწლობით ფართოვდება და ვითარდება.

ამჟამად თბილისში მოწვეული სიმპოზიუმი, რომლის მუშაობა უკვე დაიწყო და მიმდინარეობს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში, ჩვენი რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს.

სიმპოზიუმი განიხილავს გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს, როგორიც არის სტენოკარდია, ინფარქტი, ინფარქტის შემდგომი მდგომარეობა, გვირგვინოვანი სისხლის მიმდინარეობა, გულის სხვა დაავადებებს, აგრეთვე გასტრიტებს, კუჭისა და თორმეტგოჯანაწლავის წყლულოვან დაავადებებს, ღვიძლისა და სანაღვლე გზების ანთებით პროცესებს.

სიმპოზიუმის მუშაობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ლ. საყვარელიძემ. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს უნგრეთის მოსკოვის საელჩოს წარმომადგენელმა ი. სეკერმა და უნგრელმა მეცნიერმა, პროფესორმა ი. კნოლმა. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ცნობილი უნგრელი მეცნიერები, ბუდაპეშტის კარდიოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გეორგ გაბორი, უნგრეთის ფარმაცევტიული გაერთიანების საელჩპორტო სამმართველოს უფროსი ლაიოშ შოიმდი, უნგრეთის ფარმაცევტიული ქიმიკოსთა ხანა „გედეონ რიხტერის“ ფარმაკოლოგიის განყოფილების გამგე ლასლო სპორნი, ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ნ. ხარჩენკო, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები ლ. მიასნიკოვი, ვ. მეტელიცა (მოსკოვი) და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან და ქალაქიდან ჩამოსული ცნობილი მეცნიერები და პრაქტიკოსი ექიმები.

სიმპოზიუმის დამსწრეთა დიდ ინტერესს იწვევს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფარმაკოქიმიური გაერთიანების მიერ მოწყობილი ახალი უნგრული პრეპარატებისა და კლინიკური ხელსაწყოების გამოფენა. აქვე წარმოდგენილია მდიდარი ლიტერატურა ამ პრეპარატების შესახებ.

ზამორას პატივსაცემად

მადრიდში „ბერნაბეუს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ესპანეთისა და საერთაშორისო ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც მიეძღვნა ცნობილ ესპანელ მეკარეს **რიკარდო ზამორას**. ფეხბურთის 66 წლის ვეტერანი თამაშის წინ მიესალმა მატჩის მონაწილეებს, მაყურებლებმა კი ოვაცია გაუმართეს ტრიბუნისაკენ მიმავალ ცრემლმორეულ მეკარეს, რომელიც 46-ჯერ იცავდა ნაკრების ღირსებას.

მატჩის გმირი შესანიშნავი ფეხბურთელი, მოზამბიკელი ზანგი ეუსებიო იყო. 22-ე წუთზე მისი გადაცემით **იტალიელმა** მაცოლამ ანგარიში გახსნა, 30-ე წუთზე კი თვით ეუსებიომ ოსტატურად გაარღვია ესპანელთა დაცვა და ლამაზი გოლი გაიტანა. ფინალური სასტვენამდე ორი წუთით ადრე ბელგიელმა გოივარტსმა ანგარიში გაზარდა. გაიმარჯვა საერთაშორისო ნაკრებმა — 3:0.

საერთაშორისო ნაკრები, რომელიც **ე. ერერამ** გამოიყვანა, ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: **სარტი, ბურგნიჩი** (იტალია), **ურე** (შოტლანდია), **შნელინგერი** (გერმ.), **კუკი** (შოტლანდია), **ჰამრინი** (შვეიცია), **კოლუნა** (პორტუგალია), **რივერა, მაცოლა** (იტალია), **ეუსებიო** (პორტუგალია) **კორსო** (იტალია). მეორე ტაიმში გამოვიდნენ **ბონეტი** (ინგლისი), **მიჩადო** (ბრაზილია), **ბენეტესი** (ურუგვაი), **გოივარტსი** (ბელგია).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲝᲜᲓᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ — 3:0, ᲞᲝᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ — ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ — 3:1. ᲑᲝᲚᲛᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ, ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ.

△ **ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ** ᲓᲐᲮᲐᲡᲠᲣᲚᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲝᲔᲚ ᲕᲐᲣᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ — 3:0, ᲞᲝᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ — ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ — 3:1. ᲑᲝᲚᲛᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ, ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ.

△ **ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘᲡ** ᲙᲚᲣᲑᲘ „ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜᲘᲢᲔᲓᲘ“ ᲔᲒᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲒᲓᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲒᲘᲓᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ 0:0 ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ „ᲮᲘᲑᲠᲘᲜᲔᲚᲘᲡᲗᲐᲜ“ (ᲛᲘᲚᲢᲐ). ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲛᲝᲠᲔᲒᲜᲐ 4:0 ᲛᲝᲘᲒᲔᲗ.

△ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲒᲘᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ „ᲢᲝᲢᲜᲔᲰᲐᲛ ᲰᲝᲢᲡᲞᲣᲠᲡᲘ“. ᲛᲐᲡ ᲛᲝᲠᲔ ᲛᲐᲢᲩᲘᲪ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲪᲡᲚᲘᲡ „ᲰᲐᲘᲓᲠᲘᲣᲡᲘ“ (ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ) — 4:3. ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲒᲘᲓᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲡᲢᲘᲡ „ᲡᲢᲠᲘᲐᲜᲘᲐ“. ᲛᲐᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘᲪ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲐ ᲕᲔᲜᲘᲡ „ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ“ — 2:1.

△ **ᲨᲠᲘᲓ 2:2** ᲓᲐᲗᲐᲛᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲨᲘ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲚ�გᲘᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲔᲛᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲘᲧᲝ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

△ **ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ** ᲓᲐᲮᲐᲡᲠᲣᲚᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲝᲔᲚ ᲕᲐᲣᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ — 3:0, ᲞᲝᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ — ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ — 3:1. ᲑᲝᲚᲛᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ, ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚ